ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №121

დ. ასპინძა **9 სექტემბერი 2014 წ.**

ერთის მხრივ: ასპინძის მუნიციპალიტეტი

მისი წარმომადგენელი გამგებელი ლევან ცაბაძის სახით

(შემდეგში შემსყიდველი): დაბა ასპინძა თამარის ქ№3

და მეორე მხრივ მცირე მეწარმე დაჩი ბერიძე

(შემდგომში მიმწოდებელი). დ. ასპინძა ვარძიის ქ. №90

მათ შორის მიღწეული იქნა ურთიერთშეთანხმება შემდეგზე:

1. ხელშეკრულების ობიექტის დასახელება

1.1. კლასიფიკატორის კოდი CPV51313000. სახალხო დღესასწაულ შოთაობის ღონისძიების გახმოვანება.

2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

2.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ღირებულება შეადგენს 2200 (ორიათას ორასი) ლარი.

3. სამუშაოების შესრულების ეტაპები და ვადები.

3.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან.
3.2. მიმწოდებელი ვალდებულია გაუწიოს მომსახურება 2014 წლის 21 სექტემბრამდე.
3.3. ხელშეკრულება ძალაშია 2014 წლის 21 ოქტომბრამდე.

4. მიღება-ჩაბარების წესი.

4.1. შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება საგადასახადო დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ.

5. შესყიდვის ობიექტის ხარისხი.

5.1. მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურება უნდა იყოს ხარისხიანი და ექვემდებარებოდეს სახელმწიფო სტანდარტებს.

6. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

6.1. ანგარიშსწორება მოხდება უნაღდოდ.
6.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების შემდეგ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ანაზღაურებისათვის საჭირო დოკუმენტაციის სრული წარმოდგენიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას მომსახურების გაწევის პროცესში გაითვალისწინოს შემსყიდველის ყველა შენიშვნები.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ან არაჯეროვანი შესრულების შედეგად მიყენებული ზარალისათვის მხარეები ერთმანეთის წინაშე პასუხს აგებენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9 ფორს მაჟორი

9.1. ხელშეკრულების დამდები, რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს

9.2. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულებების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

10 დავების გადაწყვეტის წესი

10.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

10.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან ოცდაათი დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხების მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართონ სასამართლოს.

11 ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

11.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

11.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულებების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება დაუშვებელია.

11.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11.5. მხარეები იღებენ ვალდებულებას შეატყობინონ ერთმანეთს აღნიშნული ხელშეკრულების პირობების შესახებ არაუგვიანეს 3 დღისა.

ყოველივე ზემოთთქმულის დასტურად მხარეებმა გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მიღებულ დღესა და წელს.

ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ოთხ ეგზემპლარად და ოთხივეს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა.

შემსყიდველი: ასპინძის მუნიციპალიტეტი წარმოდგენილი მისი გამგებელი ლ. ცაბაძე

ხელმოწერა .....

ბ.ა.

საბანკო რეკვიზიტები:
ასპინძის მუნიციპალიტეტი
საინდიფიკაციო კოდი 223105155
ბანკი- ს/ს „ლიბერთი ბანკის“ ასპინძის ფილიალი.
კოდი LBRTGE22 (451)
ა/ა GE48LBO120141752740000

მიმწოდებელი:

მცირე მეწარმე დაჩი ბერიძე
დ. ასპინძა ვარძიის ქ. №90
საბანკო რეკვიზიტები:
დაჩი ბერიძე
პირადი ნომერი 05001012816
ბანკი- ს/ს „ლიბერთი ბანკის“ ახალციხის ფილიალი
კოდი LBRTGE22 (466)
ანგარიშსწორების ანგარიში GE52LB0112175592255000
574 000025

ხელმოწერა .....

ბ.ა.